სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“

აქციონერთა წლიური საერთო კრების

სხდომის ოქმი №01/2012

ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №14
2012 წლის 3 მაისი, 11:00

ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელი რეგისტრატორის, სს „კავკასრეესტრის“ ინფორმაციის თანახმად, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ (შემდგომში – „ბანკი“) აქციონერთა წლიურ საერთო კრებას ესწრებოდნენ ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი აქციონერები და აქციონერთა წარმომადგენლები, 142 575 717 ხმის რაოდენობით, რაც სააღრიცხვო დღის, 2012 წლის 06 აპრილის მდგომარეობით შეადგენს ხმათა საერთო რაოდენობის 96,307157 %. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54 მუხლის, 5 პუნქტის თანახმად, აქციონერთა წლიური საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები, ვინაიდან მას ესწრებოდნენ კაპიტალის 96,307157 % შესაბამისი აქციების მფლობელი აქციონერები. ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების ჩატარების შესახებ 2012 წლის 10 აპრილს გამოქვეყნდა შეტყობინება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“, საიტზე www.matsne.gov.ge.

ბანკის აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე თავმჯდომარეობდა სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი არჩილ რესანის ძე კონცელიძე.

ბანკის წესდების 5.8 პუნქტის თანახმად, დამსწრე აქციონერთა ხმების უბრალო უმრავლესობით აქციონერთა წლიური საერთო კრების მდივნად არჩეული იქნა ლენა ბესიკის ასული ბაკურაძე.

ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების თავმჯდომარემ, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა არჩილ რესანის ძე კონცელიძემ წარმოადგინა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული (06.04.2012 წლის ოქმი № 02/2012, ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების პუნქტი 2.1) ბანკის აქციონერთა წლიური საერთო კრების დღის წესრიგი:

1. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ დირექტორატის მიერ 2011 წელს გაწეული სამუშაოს თაობაზე ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
   /მომხსენებელი - სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი ა.რ.კონცელიძე /

2. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2011 წელს გაწეული სამუშაოს თაობაზე ანგარიშის დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი - სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი ა.რ.კონცელიძე /
3. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ 2011 წლის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ გარე აუდიტორის Ernst&Young Audit LLC-ის 2011 წლის ანგარიშის განხილვის შესახებ.
/მომხსენებელი - სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ფინანსური დირექტორი მ.ვ.მენთეშაშვილი/
4. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ 2011 წელს მიღებული მოგების განაწილებისა და დივიდენდების გაცემის შესახებ.
/მომხსენებელი - სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ფინანსური დირექტორი მ.ვ.მენთეშაშვილი/
5. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ 2012 წლის წლიური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად გარე აუდიტორის დამტკიცების შესახებ.
/მომხსენებელი - სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ფინანსური დირექტორი მ.ვ.მენთეშაშვილი/
6. სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.
/მომხსენებელი სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ აქციონერთა სახელით მ.ვ. სკოკოვა/

---

4. **მოისმინეს:** სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ ფინანსური დირექტორის მ.ვ.მენთეშაშვილის ინფორმაცია სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მიერ 2011 წელს მიღებული მოგების განაწილებისა და დივიდენდების გადახდის შესახებ, სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ წესდების 5.10 პუნქტის «კ» ქვე პუნქტის შესაბამისად.

კენჭისყრის შედეგები:
„მომხრე“ 142 575 717 ხმა
„მოწინააღმდეგე“ 0 ხმა
კენჭისყრისგან თავი შეიკავა 0 ხმა

დაადგინეს:

4.1. განაწილდეს 2011 წლის შედეგების მიხედვით სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ მოგება, რომელმაც შეადგინა 8 598 063 (რვა მილიონ ხუთას ოთხმოცდათვრამეტიათას სამოცდასამი) ლარი, შემდეგი თანმიმდევრობით:

- ანარიცხები დივიდენდების გადასახდელად – 8 566 244 (რვა მილიონ ხუთას სამოცდაექვსი ათას ორას ორმოცდაოთხი) ქართული ლარი.
- ანარიცხები გასული წლების ზარალის დაფარვის ფონდში - 31 819 (ოცდათერთმეტი ათას რვაას ცხრამეტი) ლარი.